

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვამტკიცებ“

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში
აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

ნოე ქაშიბაძე

11.03.2013 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ფინანსური
აუდიტის ანგარიში № 3 / 129
(01.01.2012 - 01.01.2013)



სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ფინანსური ანგარიშგებები	
საბალანსო ანგარიშგება	5
ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით	6
ფინანსური ანგარიშგებების განმარტებები	
1.მირითადი საქმიანობა.....	7
2.ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
3. საბალანსო ანგარიშგება	8
4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება	10
5. სხვა განმარტებები	12



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -
ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენ ჩავატარეთ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო
დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ფინანსური ანგარიშგების
აუდიტი 2012წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც მოიცავს საბალანსო
ანგარიშგებას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის
პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა ახსნა-განმარტებებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და
სამართლიან წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების
შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6
თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების
ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა
მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებისა და ბიუჯეტების დაფინანსებაზე
მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ„
ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების
ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინასთა მინისტრის 2008 წლის 16
აპრილის N364 ბრძანების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა
კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი
ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს
შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვათ
მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის
საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი
სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა
დაჩატარებას, რომ მივიღოთ გონივრული რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება
არ შეიცავს არსებით უზუსტობებს. მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც
აუდიტის მსვლელობისას მოვიპოვეთ აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

საფუძველს წარმოადგენს.

უპირობომოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი 2012 წლის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ფინანსური ანგარიშგება მთლიანად მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით და ყველა მნიშვნელოვანი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს ფინანსურ მდგომარეობას 2012 წლის 31 დეკემბრისათვის.

მნიშვნელოვანი სკორბის ხაზასძა:

ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობის სულად დაცვის მიზნით:

- ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი 1,879 ლარის ნარჩენი ღირებულების აქტივები აღდგენილ უნდა იქნას საცნობარო მუხლიდან („პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ (02)) და აღირიცხოს ბალანსის მუხლში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“.
- ავტომანქანის დანაკლისის თანხა (9,411.64 ლარი) უნდა აღირიცხოს ანგარიშზე 1440 – „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და მოიხსნას საცნობარო მუხლიდან - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ (04).



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

ფინანსური ანგარიშგებები

საბალანსო ანგარიშგება

(ლარი)

დასახელება	განმარტება	31/12/2011	31/12/2012
აქტივები			
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		0	0
II. არაფინანსური აქტივები	3.1		
სხვა მატერიალური მარაგები		0	15,145
შენობა-ნაგებობები		190,426	190,631
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	3.1.2	206,053	192,639
სხვა ძირითადი აქტივები		8,300	7,420
ბალანსი		404,779	405,835
ვალდებულებები და კაპიტალი			
I. ვალდებულებები		0	0
II. კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		404,779	405,835
ბალანსი		404,779	405,835
III. საცნობარო მუხლები:			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური	3.1.1	1,879	1,879
ფასეულობები			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები		6,445	4,043
ექსპლუატაციაში			
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		40,273	96,170
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი		75,569	67,886
გრძელვადიანი მცირეფასიანი			



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

ფინანსური ანგარიშგებები

ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის შესახებ

(ლარი)

ეკონომიკური კლასიფიკაციის ჩამონათვალი		განმარტებები	ლამაზიცებული გეგმა	დაზღვული გეგმა	საკასო ხარჯი	ფაქტური ხარჯი	სხვაობა (6-5)
1	2	3	4	5	6	7	
სულ ასიგნება (I+II)			683,450	683,450	634,334	683,641	49,307
<i>I. ხარჯები</i>			654,250	646,350	599,054	648,361	
მათ შორის:							
1. შრომის ანაზღაურება			301,000	312,267	312,267	312,267	
1.1	თანამდებობრივი საოგო		276,000	274,047	274,047	274,047	
1.2	პრემია		25,000	38,220	38,220	38,220	
2. საქონელი და მომსახურება			346,250	328,350	281,060	281,060	
2.1	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	4.2	18,600	19,375	19,375	19,375	
2.2	მივლინებები		1,000	1,000	495	495	
2.3	ოფისის ხარჯები		148,150	144,815	115,527	115,527	
2.4	წარმომადგენლობითი ხარჯები		12,000	20,100	18,530	18,530	
2.5	სამედიცინო ხარჯები		-	860	777	777	
2.6	ტრანსპორტისა და ტექნიკის ქსპლ. და მოვლა-შენახვა		163,300	140,400	125,046	125,046	
2.7	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	4.3	3,200	1,800	1,310	1,310	
3. ძირითადი კაპიტალის მოხმარება			-	-	-	49,307	49,307
4. სოციალური უზრუნველყოფა			-	233	233	233	
4.1	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება (მუშავის დოკებითი შრომისუფარობის გამო)		-	233	233	233	
5.	სხვა ხარჯები		7,000	5,500	5,494	5,494	
<i>II. არაფინანსური აქტივები</i>			29,200	37,100	35,280	35,280	
6.	ძირითადი აქტივები		29,200	37,100	35,280	35,280	
6.1	არასაცხოვრებელი შენობები		-	3,500	2,173	2,173	
6.2	სატრანსპორტო საშუალებები		13,200	16,200	16,000	16,000	
6.3	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		14,000	17,400	17,107	17,107	
6.4	სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები		2,000	-	-	-	



1.ძირითადი საქმიანობა

აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველო (სამმართველო) შექმნილია და თავის საქმიანობას ახორციელებს "აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აფხაზეთის კანონის 14' მუხლისა და აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 1 თებერვლის N7 (აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - ადმინისტრაციულ-სამეურნეო სამმართველოს შესახებ) დადგენილების საფუძველზე.

სამმართველო არის აფხაზეთის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება და მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისათვის ანგარიშვალდებულია აფხაზეთის მთავრობის წინაშე.

სამმართველოს (სამმართველო) დებულება დამტკიცებულია აფხაზეთის მთავრობის 2005 წლის 15 თებერვლის N10 დადგენილებით.

სამმართველო ფინანსდება აფხაზეთის ბიუჯეტიდან და კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

სამმართველოს ფუნქციებია:

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების საქმიანობისათვის ნორმალური პირობების შექმნა;
- აფხაზეთის მთავრობის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ჩასატარებლად წინასწარ შესასრულებელი სამუშაოების უზრუნველყოფა კომპეტენციის ფარგლებში;
- აფაზეთის მთავრობის (აფხაზეთის აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები), აფხაზეთის მთავრობის აპარატისა, აფხაზეთის მმართველობითი ორგანოების ხელმძღვანელების;
- აფაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, აპარატის, მთავრობის შიდა დეპარტამენტებისა და განყოფილებების;
- აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის, აპარატის, აფხაზეთის მთავრობის შიდა დეპარტამენტის ხელმძღვანელებისა და განყოფილებების საოფისე ხარჯებისა და სხვა ხარჯების უზრუნველყოფა.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- გ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“;
- დ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება;

3. საბალანსო ანგარიშგება

3.1 არაფინანსური აქტივები

სამმართველოს 2012 წლის 1 იანვრისათვის საბალანსო მონაცემებით, ერიცხება 404,779 ლარის არაფინანსური აქტივები. აუდიტის პერიოდში მისი ქონება გაიზარდა 1,056 ლარით და 2013 წლის 1 იანვრისათვის მირითადი აქტივების საბალანსო (ნარჩენმა) ღირებულებამ შეადგინა 405,835 ლარი.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ:

არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყისსათვის	მიღება		გასვლა		ნაშთი წლის ზოლის
		შესყიდვით	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	იმავე დონის სახელმწიფო ერთეულებზე უსასყიდლოდ	ძირითადი გაპირობებული მოხმარება	
1. მატერიალური მარაგები		15145				15145
2. ძირითადი აქტივები	404,779	35,280	1,193	1,255	49,307	390,690
2.1 შენობა-ნაგებობები	190,426	2,173			1,968	190,631
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	206,053	33,107	1,193	1,255	46,459	192,639
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	108,340	16,000			22,641	101,699
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	97,713	17,107	1,193	1,255	23,818	90,940
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	8,300				880	7,420
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	8,300				880	7,420
ჯამი	404,779	35,280	1,193	1,255	49,307	405,835

სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგებების, პირველადი საბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტების აუდიტით დადგინდა, რომ ძირითადი აქტივების შესყიდვა, უსასყიდლოდ მიღება/გადაცემა და ჩამოწერა განხორციელებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

მიმდინარე აუდიტან დაკავშირებით, სამმართველოს უფროსის 2013 წლის 11 თებერვლის N01/09 ბრძანების შესაბამისად ჩატარდა ძირითადი საშუალებების და სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია, რომლის შედეგად ზედმეტობა არ გამოვლენილა, ხოლო დანაკლისის სახით აისახა სამმართველოს ბალანსზე დანაკლისად რიცხული შემდეგი ქონება:



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

- 9,411.64 ლარის ნარჩენი (16,000 ლარის პირველადი) ღირებულების ავტომანქანა - „მერსედეს ბენცი 260“ სახ. ნომ. QQO-179, რაზეც ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის საგამოძიებო სამსახურში (21.05.2010 წლის N27/24/51-4 და 18.07.2012 წლის N27/12/5/1-5 წერილები) 2004 წლის 08 დეკემბერს აღმოჩნდა სისხლის სამართლის საქმე ავტომანქანის ქურდობის ფაქტზე;
- 1,879 ლარის ნარჩენი ღირებულების არაფინანსური აქტივები (3 ცალი სამზარეულოს ტუმბო - 535,25 ლარი, 1 ცალი რეზერვუარი - 960 ლარი, 1 ცალი ფოტოაპარატი - 284 ლარი), რომლებიც წარმოადგენენ 2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან განხორციელებული აგრძელებული მიზანის შედეგად ოკუპირებულ (ზემო აფხაზეთის) ტერიტორიაზე დარჩენილ მატერიალურ ფასეულობებს.

3.1.1 პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები
ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილი აქტივები ბალანსში აღრიცხულია საცნობარო მუხლში - „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ (02), რაც ვერ უზრუნველყოფს ბიუჯეტის ბალანსის აღრიცხვის უტყუარობას¹, ვინაიდან ამ მუხლში უნდა აღირიცხოს ორგანიზაციის მიერ დროებით, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული (და არა მისი კუთვნილი) მატერიალური ფასეულობანი. მიზანშეწონილია მოცემული (1,879 ლარის ნარჩენი ღირებულების) მატერიალური ფასეულობები აღდგენილ იქნას და აღირიცხოს ბალანსის მუხლში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ (ბუდალტრული აღრიცხვის ანგარიშის ნომერი- 1440)², რომელზეც აღირიცხება მოთხოვნები - ორგანიზაციის მომუშავეთა ან სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთა ბრალეულობით ან სხვა მიზეზებით გამოწვეული არაფინანსური აქტივების დანაკლისის თანხებზე.

3.1.2 მანქანა დანადგარები და ინვენტარი

ზემოაღნიშნულის ანალოგიურად უნდა აღირიცხოს ავტომანქანის დანაკლისის თანხა (9,411.64 ლარი) ანგარიშზე 1440 - „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ და მოიხსნას საცნობარო მუხლიდან - „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“ (04).

¹საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუდალტრული აღრიცხვისა და ანგარიშების შესახებ“ დებულების 29-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები.


² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუდალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-13 მუხლის 38-ე პუნქტის და 43-ე მუხლის მე-3 მოთხოვნები.



4. ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

4.1 შრომის ანაზღაურება

სამმართველოს მიერ ბიუჯეტის სახსრების ხარჯების ანალიზით გაირკვა, რომ 2012 წელს მთლიანი ხარჯების დიდი ნაწილი - 52.13 % შრომის ანაზღაურების მუხლითაა გახარჯული, საიდანაც პრემიების სახით გაცემულია 12.24 %.



4.2 საქონელი და მომსახურება

საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული საკასო ხარჯი მთლიანი ხარჯების 46.92%-ს შეადგენს (281,060 ლარი), საიდანაც:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლით გახარჯულია 19,375 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 3.23 %-ს შეადგენს; ხელშეკრულებების საფუძველზე 2012 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 5 მომუშავე.
- მივლინების მუხლით გახარჯულია 495 ლარი. მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების (ქვეყნის შიგნით) ხარჯები ანაზღაურებაულია მოქმედი წესისა და დადგენილი ნორმების ფარგლებში.
- ოფისის ხარჯებზე 115,527 ლარი მოდის, რაც გეგმის (144,815 ლარი) 79.78 %-ს შეადგენს.
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების მუხლით გახარჯულია 125,046 ლარი, საიდანაც სამმართველოს ბალანსზე რიცხული 8 ავტომანქანის საწვავ/საპოხი მასალების ხარჯი შეადგენს - 98,190 ლარს; მიმდინარე რემონტის ხარჯი - 6,326 ლარს; ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი - 19,954 ლარს, ტრანსპორტის დაქირავების (გადაზიდვა-

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

ფინანსური ანგარიშგებების
განმარტებები

გადაყვანის) ხარჯი შეადგენს 125 ლარს და სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯები - 450 ლარს.

- სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გახარჯულია 223 ლარი, რაც წარმოადგენს დროებითი შრომისუნარობის გამო, სამმართველოს მიერ მუშავზე გაწეულ სოციალურ დახმარებას;
- სხვა ხარჯების მუხლით გახარჯულია 5,494 ლარი, რაც საერთო საკასო ხარჯების მიმართ 0.92 %-ს შეადგენს;

4. სხვა განმარტებები

4.1 ფინანსური ანგარიშგების მომხადება

სამმართველოში ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს მემორიალურ-ორდერული ფორმით. მოქმედი დებულებით საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკის განსაზღვრა და მისი სწორი ორგანიზაცია საფინანსო და ბუღალტრული აღრიცხვის სამმართველოს ფუნქციებია. აღნიშნული სამმართველოს შემადგენლობაშია მატერიალური აღრიცხვის განყოფილება. სამმართველოს ბალანსი წარედგინება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს.

სამმართველოს მიერ კვარტალური და წლიური ფინანსური ანგარიშები (ბალანსები) წარდგენილია დადგენილი წესისა და ვადების დაცვით, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის № 364 ბრძანებებით დამტკიცებული ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების შესაბამისად.


4.2 სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული საკითხები

სამმართველოს მიერ 2012 წლის 1 იანვრიდან 2013 წლის 1 იანვრამდე განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 209 ხელშეკრულება, საიდანაც 196 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შეყიდვა და 13 შემთხვევაში გამარტვებული ელექტრონული ტენდერი (აქედან 88,948 ლარის ღირებულების საწვავის შესყიდვა განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით).



2012 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	(ლარი)	გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	194	73,115	
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	13	78,731	
კონსოლიდირებული ტენდერი	1	88,948	
ჯამი	208		240,794



აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

სამმართველო შესყიდვებს ახორციელებდა წინასწარ განსაზღვრული და დამტკიცებული წლიური გეგმის შესაბამისად, თუმცა აღსანიშნავია, რომ შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს არ იყო სრულად გათვალისწინებული ყველა შესყიდვის განხორციელების აუცილებლობა³; აღნიშნულზე მიუთითებს ის გარემოება, რომ 2012 წლის განმავლობაში

³ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტისმოთხოვნები.



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

ფინანსური ანგარიშებების
განმარტებები

კორექტირებული გეგმები 23 შემთხვევაშია წარდგენილი (გეგმის პარამეტრების შიდა ცვლილებებთან დაკავშირებით 104 დანაყოფში 31,529 ლარზე) სააგენტოში.

ელექტრონულ ტენდერები ჩატარებულია სამმართველოს ხელმძღვანელის ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ. გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ სააგენტოსათვის ანგარიშის წარდგენის მიზნით სამართველოს სისტემაში ატვირთული აქვს სატენდერო კომისიის სხდომის ოქმები, და გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული დოკუმენტები.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში სატენდერო განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია განთავსებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, რის შედეგადაც სატენდერო განცხადებას მინიჭებული აქვს უნიკალური ნომერი. სატენდერო განცხადება დამატებით გამოქვეყნებულია გაზეთ „24 საათში“.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერით განხორციელებულია შემდეგი სახელმწიფო შესყიდვები:

Nº	შესასყიდისაქონლის, მომსახურების, სამუშაოსდასახელება	ტენდე რშიმონ აწ. რაოდე ნობა	მომწოდებლის დასახელება	საქონლის,მ ომსახურე- ბის, მიწოდების თანხა	საკასო ხარჯი
1	საკანცელარიო საქონელი ქსეროქსისი ქაღალდი	1	შპს „ელიტ პაპერ“	4,385.50	4,385.50
2	კარტრიჯების შესყიდვა	2	შპს „კოპი რუმი“	1,885	1,885
3	საქაღ. მუყაოს ჩანთები, კალენდრ. დამზადება	2	შპს „დეიზი“	3,685	3,685
4	სატელეკომუნიკაციო მომსახურება	1	შპს „სილქნეტი“	11,841	5,092.75
5	ა/მ რეცხვითი მომსახურება და ქიმწმენდა	2	სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია“	1,200	1,200
6	ა/მ რეცხვითი მომსახურება	3	შპს „სი ეიჩ ქარვოშ კომპანი“	2944,56	2944,56
7	სატელეფონო ოპერატორის მომსახურება	2	სს „ინფოჯორჯიაXX“	165	34,80
8	ა/მ ტექმომსახურება	1	შპს „ავტოსერვისცენტრი“	28,000	16,639.75
9	ა/მანქანების დაზღვევა	1	სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“	2,844	2,844



აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის
საქვეუწყებო დაწესებულება-ადმინისტრაციულ-სამეურნეო
სამმართველო

ფინანსური ანგარიშგებების
განმარტებები

10	ა/მანქანების დაზღვევა	1	სს „სადაზღვევო კომპანია ალდაგი ბისიაი“	2,650	2,650
11	ახალი ამბების სააგენტოების მომსახურებები	2	საზოგადოებრივი აზრის კვლევის და მარკეტინგის ინსტიტუტი	10,890	10,890
12	ავტომანქანა	1	ფ/პ „გიორგი ხუჭუა“	16,000	16,000
13	კომპიუტერული მოწყობილობები და მარაგი	4	შპს „კამარა სისიტემს“	10,480	10,480
ჯამი:				96,970	78,731.36

4.3 წინა პერიოდის შემოწმების შედეგად გამოვლენილ დარღვევა-ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული საქმიანობა

სამმართველოში, 2011 წლის 1 იანვრიდან 2012 წლის 1 იანვრამდე პერიოდის
სახელმწიფო შესყიდვებისა და სახელმწიფო ქონების გამოყენების (დაცულობის)
ფარგლებში გაწეული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობის
აუდიტი ჩატარებულია აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში კონტროლის
პალატის მიერ, რაზედაც შედგენილია შესაბამისი აქტი.

შემოწმების შედეგად დაფიქსირებულია რიგი ნაკლოვანებები, რომელთა
გამოსასწორებლად გარკვეული საქმიანობა გაწეული სამმართველოს მიერ, თუმცა
შესყიდვების წლიური გეგმის პროექტის შემუშავების დროს, წინა წლის
ანალოგიურად, კვლავ არ იყო სრულად გათვალისწინებული ყველა შესყიდვის
განხორციელების აუცილებლობა.

აუდიტორი:

გიორგი ფრუიძე

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
სახელმწიფო აუდიტის სამსახური

11 მარტი 2013 წელი

ქ. თბილისი

